ახალი

გენიალური

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2018 წელი 28 სექტემბერი № 9 № 8138

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

უცხოელები ალფრთოვანებულნი არიან ქართული ცხოვრების წესით, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით, ქართველთა შინაგანი კულტურით, განსაკუთრებით ქართველ ქალების კდემამოსილებით, ოჯახისადმი ერთგულებით, სილამაზითა და სათნოებით. საქართველოში მოგზაურობის დროს მილებული შთაბეჭდილებებით ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებენ ქართველების, ქართველი ქალების შესახებ.

ჰანს შერფიგი (დანიელი მწერალი): საქართველო-ოქროს საწმისის ქვეყანაა ძველი მითებისა და ლეგენდების ქვეყანა. მისი ზღვისპირეთი, დათოვლილი მთებით, სითბოთი და სიუხვით ჭეშმარიტად მიწიერი სამოთხეა, უფლის კურთხეული უბანი დედამიწისა.

გუნთერ ბროკი (გერმანელი ჟურნალისტი): თუ შეიძლება საქართველოს სიმბოლური სინონიმი გამოეძებნოს, მე ვიტყოდი, რომ ეს ედემია. ეს საოცარი მხარე ზღაპრული მშვენიერების, სიკეთის, სიბრძნის, ბედნიერების, მძლავრი შემოქმედებითი შრომის, სიხარულისა და უკვდავების უშრეტი წყაროა, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ერთიმეორეზე უკეთესი წალკოტია.



გვ2. 14 ოქტომბერი – მცხეთობა, სვეტიცხოვლობა.

ერთგულებით ფერადოვან ყუმბეთიებსმდე

გვ2. შეხვედრა „კარგი მმართველობის ინსტიტუტის„ წარმომადგენლებთან

ჰირველცყოლელებო! გილოცავთ !

გვ2. სასმელი წყალი სადგურ მეტეხის მოსახლეობას

მელორელ მოცვლილ ევმ ქრილცელ ხელოთოქმნელი ყვერითით შელმოლებ...

გვ4.

სვანთა სვანი

86 წელი თქვენთან ერთად!

თუ თლობთ ცვინდელრილო ლ მნიშვნელოვან მცვლოვ გვზეთიც ინდორრიელ გვმოგვრმეოზრეთ.

87-ე წელოვ ჩვენი გვზეთი ინწერს, ვგროვებს, ინვბვენ რვიონინ ინდორრიეს, ბვრეს ვრ ოლიც ყეითელ ბრეცვ, ქმნიც ჩვენი ცხოვრებიც შეოლომვზებელ მცდინენ

გვმოინწერეთ "ვბვლი გვნთიადი" ლ გვბლით ჩვენი მეითხველი!

გვ3. ვინ იყო ყირიმელთა რძალი "ერისტოვნა?"

სამუშაო შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში გვ2.

ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღეს გვ2.

ფერების ფესტივალი 2018-2019 გვ3.

ახალი ერა მედიცინაში გვ5.

ისინი ებრძვიან ავადმყოფობასა და სიბერეს გვ5.

შემოდგომაზე გამარჯვებებსა და მედლებს ითვლიან გვ4.

წყალსადენის ქსელის სრული მოწყობის სამუშაოები გვ3.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გვ6.

ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღეს

25 სექტემბერს სოფელ ზემო ხანდაკში ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის, კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღე აღინიშნა.

ტარიელ შარიფაშვილი 1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის დაცვისათვის აფხაზეთში გმირულად დაიღუპა. პოლკოვნიკის საფლავთან შეიკრიბნენ თანამებრძოლები, ყოფილი გვარდიელები, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

მამა გიორგიმ და ლევანმა გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს.

ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ ტარიელ შარიფაშვილის მეუღლე ლია გოგიაშვილი და ქალიშვილი თამარ შარიფაშვილი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ტარიელის თანამებრძოლი გენერალი გია ყარყარაშვილი.

სამუშაო შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასებასთან დაკავშირებით საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და GIZ-ის პროგრამის მხარდაჭერით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

სამუშაო შეხვედრა მოიცავდა მუნიციპალიტეტის ხელშეწყობას სამუშაო შეფასების დანერგვის კუთხით.

შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო დაწესებულების მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული მოხელეები და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

შეხვედრას უძღვებოდა პროექტის ექსპერტი ქეთევან დოლიძე.

შეხვედრა „კარგი მმართველობის ინსტიტუტის„ წარმომადგენლებთან

GGI ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (კარგი მმართველობის ინსტიტუტი) და შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდულმა ჯგუფმა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ახალგაზრდების სწავლის დასაქმების, განვითარების ხელშეწყობის შესახებ ისაუბრეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ აღნიშნა, რომ მერია და საკრებულო მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ახალგაზრდების პირობების შექმნისათვის ერთობლივად ზრუნავენ. დღეისათვის აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კარატეს დარბაზი, ახალი სპორტული კომპლექსი, სპორტული მოედნები, ღია საჭიდაო არენები, აღდგენილი ორი ბიბლიოთეკა, კულტურის ობიექტები.

პერმანენტულად ტარდება შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა ყურადღება გაამახვილა საკრებულოს თავმჯდომარის დავით ლეონიძისა და კასპის ახალგაზრდების აქტიურობაზე.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სასმელი წყალი სადგურ მეტეხის მოსახლეობას

კასპის მუნიციპალიტეტის სადგურ მეტეხის დასახლებაში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს რეზერვუარის მოწყობა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ 200 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს "ფუძე" ახორციელებს და მასზე 205 198 ლარი დაიხარჯება.



ვრეკვიერდან – ოერეთოვნ გუმზითიზმდე

როცა მცხეთას უახლოვდები და გაშლილი სივრცის პათეტიკურ სრულყოფილებას ემორჩილები, ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს სამშობლო თავის გულს გიწვდის. მცხეთაში წასვლა რიტუალს ჰგავს, რომელში მონაწილეობისას სიფრთხილე და სენტიმენტალობა უნდა გამოიჩინო, რათა ბოლომდე განიცადო იქ ყოფნით მოგვრილი კმაყოფილება.

სწორედ იმ ადგილას, სადაც მტკვარი და არაგვი ერთმანეთს შეეყრება, მტკვრის ორივე და არაგვის ერთ ნაპირზე გაშენებული, საქართველოს ისტორიასავით ძველი ქალაქის განწყობას იმ კულტურულ ფასეულობათა იშვიათი ნაზავი ქმნის, რომელიც, ადრეულ ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ქრისტიანობის ყვავილობამდე წარმართავდა აქაურ უნიკალურ, ეკლექტიკურ ყოფას.

მცხეთა ყველაზე რელიგიურია საქართველოს ქალაქთა შორის, რადგან იგი ოდინდელ წარმართულ კერპთა სამყოფელი და ქართველთა ქრისტიანობის დასაბამია.

მართლმადიდებელთათვის ის დღესაც რჩება უმთავრეს მოსალოცავ ადგილად, რადგან აქ ტაძართა შორის აღმატებული – ათასწლეულგამოვლილი სვეტიცხოველი დგას. არსად ისე, როგორც მცხეთაში იგრძნობა კავშირი გარდასულ საუკუნეებთან, არქაულ, ისტორიამიუწვდომელ წარსულთანაც კი. როცა აქაურ სამაროვნებსა და ნამოსახლარებს, ანტიკური ხანის თავდაცვით ნაგებობებსა და ჩინებულ ქრისტიანულ არქიტექტურას იხილავ, რომც არ იცოდე, აუცილებლად მიხვდები, რომ მცხეთა ოდესღაც საქართველოს დედაქალაქი იყო.

მცხეთელებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების მცხოვრებლებზე მეტად აქვთ გამძაფრებული თავიანთი ძველი სამოსახლოს მნიშვნელობის განცდა. თანდაყოლილი ქალაქური მენტალიტეტი და თბილისთან სიახლოვე მათში მაინც ვერ ანელებს იმ მომხიბვლელ უბრალოებას, რაც ასე დამახასიათებელია სოფლისათვის. აქ ქალაქი და სოფელი მშვენიერ ერთიანობას ქმნიან. სტუმართა სიმრავლით მუდამ განებივრებული, ან, იქნებ, გაბეზრებული მცხეთელები არასოდეს ღალატობენ და ბეჯითად მისდევენ უცხოსთან ურთიერთობის ჩვევადქცეულ წესებს.

ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავის წყალობით, მცხეთაში წლის ყოველ დროს გამგზავრება სასიამოვნოა, მაგრამ ქალაქი თითქოს გამჭვირვალეა გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა მთისწინეთი და შემოგარენი თბილი მზის სხივების ანარეკლით ბრწყინავს. მუხრანსაგურამოს ვაკესთან უმშვენიერესადაა შერწყმული მდინარე არაგვის ტერასები, მშრალი ხევებითა და ხრამებით სკულპტურულად დასერილი საგურამოს ქედი.

ლეგენდის თანახმად, ქალაქი დაუარსებია მესხთა ტომის ეთნარქს – მცხეთოსს. თვით ტოპონიმი – მცხეთა ამავე ტომის სახელის ("მესხთა") შინაარსს ატარებს. მოსხები, იგივე მუშკები აქ ძვ. წ. VIII ს-ში უნდა დასახლებულიყვნენ.

ათასწლეულების განმავლობაში ქალაქი სხვა კავკასიურ ცივილიზაციებთან კავშირში ცხოვრობდა, ვითარდებოდა, იცვლიდა ზნეს, რელიგიებს, მმართველებსა და იერსახეს. ამის საბუთად არსებობს არქეოლოგიური ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალა, წერილობითი წყაროები.

ე. წ. "დიდი მცხეთა", რომელიც ადრეულ და შუა ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულებში ახლანდელ ქალაქსა და მის შემოგარენს, სამთავროს, წიწამურს, ზემო ავჭალას, ნარეკვავს და სხვა ტერიტორიებს აერთიანებდა, ერთობ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. იგი დღევანდელი მასშტაბებითაც კი, საკმაოდ დიდი ქალაქი იყო. ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახლო აღმოსავლეთის უდიდეს პოლიტიკურ წარმონაქმნთა ცხოვრებაში დიდი ძვრები იწყება და მცხეთაშიც შემოედინება ახალი კულტურულ-სოციალური ნაკადები. სწორედ ისინი განაპირობებენ ძველი სამოსახლოების განვითარებას.

I ათასწლეულის III-IV საუკუნეებამდე მცხეთა ყალიბდება ეთნიკურად ჭრელ, ტოლერანტულ ქალაქად, სადაც აშკარად გამოკვეთილია სოციალური და პროფესიული ნიშნით დიფერენცირებული ჯგუფები. ამავე პერიოდში იგი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გახდა, საერთაშორისო სავაჭრო გზებით, ხმაურიანი ბაზრებითა და სახელოსნოებით, განცალკევებული უბნებით, რომლებიც ერთმანეთს ულამაზესი ხიდებით უკავშირდებოდა. ყოველ უბანს თავისი გალავანი და პროფესიული სტატუსი ჰქონდა. სარკინეში ლითონის დამუშავებას მისდევდნენ და საიდუმლო შენადნობით რკინის მკვეთელ ხმლებს ამზადებდნენ; წიწამურში მხოლოდ

დასასრული გვ-8.

ვინ იყო ყირიმელთა რძალი "ერისტოვნა?"

კასპის რაიონულ გაზეთში "ახალი განთიადი" №11-12, 2007 წელს გამოქვეყნდა სტატია "ამგმივიწყებული მამულიშვილები, ანუ ორბელიანები ლამისყანაში". ავტორს სოფიო ცუცუნაშვილ-ფავლენიშვილს მოაქვს ასეთი ცნობა "შალვა ქსნის ერისთავის მეოთხე თაობას თორნიკე ერისთავსა (1779-1860) და მის თანამეცხედრეს ბარბარე ბაგრატიონს (1790-1843) ჰყავდათ ორი ასული: ელენე და ნინო; (1814-1887) ელენე ერისთავი (1808-1882) გათხოვდა ყირიმელ თავადზე, გენერალ-მაიორ პავლე პოპოვზე. პოპოვები სიმფეროპოლსა და ვასილევკაში ცხოვრობდნენ. ადრე დაქვრივებულმა ელენე ერისთავმა სიცოცხლის ბოლო წლები ვასილევკაში გაატარა, დაკრძალულია იქვე").

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – ვინ იყო ერისთავების სიძე – ყირიმელი თავადი? "განა ცოტაა ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში პასუხგაუცემელი შეკითხვები? უკვალოდ რომ არ ქრება ადამიანთა სიცოცხლე, ამაში უდიდესი წვლილი ისტორიკოსებს, მემატიანეებს მიუძღვით. ამჯერად იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ჩვენი მეგობარი ქვეყნის – უკრაინის არქივებში დასტურდება ქართველი კნეინა ელენეს ისტორია. თუმცა მისი სახელი და მამის სახელი არ ჩანს, სამაგიეროდ მეუღლე პავლე პოპოვი ფიგურირებს!

ლუდმილა როზსოხას წიგნში "ქართველები უკრაინაში" (გვ. 153) განყოფილებაში "ერისთავები" ვკითხულობთ: "თავადი ერისთავის ერთ-ერთი ასული (დაბ. XIX ს. დასაწყისში) ცოლად გაჰყვა პავლე ვასილის ძე პოპოვს, ვაჟს მდიდარი პოლტაველი მემამულე ვასილ სტეფანეს ძე პოპოვისას, რომელიც იყო ტავრიის თავად გ. ა. პოტიომკინის პირადი მდივანი და ნებიერი; ამავე დროს ვასილი ფლობდა მამულებს უკრაინის რამდენიმე გუბერნიაში. პ. ვ. პოპოვმა და ერისთავის ასულმა ვ. ს. პოპოვისაგან მემკვიდრეობით მიიღეს საუცხოო სახლკარი და მამული ტავრიის გუბერნიაში, სადაც ცხოვრობდნენ. მათ ჰყავდათ ქალიშვილი ანნა (დაბ. 1825 წელს) და ვაჟი ვასილი.

ზაპოროჟიეს ოლქის ვასილევის რაიონში არის სოფელი "შიროკოე", რომელიც აღმოცენებულა 1786 წელს, როცა ეკატერინე II-ის ბრძანებით ეს მამული მიუღია ვასილ სტეფანეს ძე პოპოვს; ამ პოპოვს გაუფართოებია თავისი ახალი სამფლობელოები ჩერნიგოვისა და ეკატერინოსლავის (დღევანდელი დნეპროპეტროვსკი) მიდამოებში. სოფელ შიროკოეს რქმევია "ერისტოვკაც" (ერისთავებისა – თ. გ.). ეს ტოპონიმი გამოყენებულია მე-18, მე-19 ს.ს. ოფიციალურ დოკუმენტებში. "ვასილევკა" წარმოიქმნა გენ. მაიორ ვასილ პოპოვის სახელისაგან, ხოლო სახელი კი "ერისტოვკა" (ერისთავის – შეკვეცილი და რუსიფიცირებული ფორმა – თ. გ.) ერისთავის ასულის გვარისაგან. უკრაინაში საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ტრადიცია, რომ დასახლებული პუნქტებისათვის ეწოდებინათ პირველმოსახლეთა, ან მათი მფლობელების სახელები, ან გვარები. სოფელ შიროკოეში დღემდე შემონახულია ლეგენდა იმ ქალბატონზე, როგორც მას უწოდებდნენ სოფლელები – კნიაჟნა ერისტოვნაზე (თავად ერისთავის ასულსა და მათი თავადის მეუღლეზე – თ. გ.). ლეგენდა გვიამბობს: "ერისტოვნას არ უყვარდა თავისი ქმარი, რომელიც ხშირად არ იმყოფებოდა სახლში (სამხედრო პირი პოლკის ტერიტორიაზე, ან ბრძოლებში იყო – თ. გ.). ქალი ყოველთვის სევდიანი და მოწყენილი იყო, ეს კი არ მოსწონდა გენერალ-მაიორ პოპოვს. ამიტომ მან ცოლისათვის ვასილევკაში ააშენა უზარმაზარი და მდიდრული სასახლე, რომ გაემხიარულებინა თავისი საყვარელი მეუღლის ერისტოვნას გული. სასახლე იყო სამსართულიანი და ჰქონდა სარკეებით შემკული ფასადი. პოპოვი ძალიან ხშირად მართავდა ბანკეტებს თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისთვის. ერთხელაც ბალის (მეჯლისის – თ. გ.) დროს ერისტოვნა გამოვიდა აივანზე და იქიდან გადავარდა. პოპოვისა და ერისთავის ასულის სასახლის ნარჩენები დღესაც არის შემონახული ამ სოფელში. საარქივო წყაროები მითითებულია "ერისთავების" განყოფილების მე-9 და მე-10 შენიშვნაში: ი. ფ. პავლოვსკი – "პოპოვების გვარის საგვარეულო ნუსხა" – პოლტავის სამეცნიერო-საარქივო კომისიის შრომები, მე-7 გამოშვება, პოლტავა, 1910 წ. გვ. 157 უკრ. ენაზე" და სოფ. შიროკოეს სკოლის მხარეთმცოდნე-კვალმაძიებელთა ბარათი ლ. ა. როზსოხას სახელზე, დათარიღებული 1984 წლის 29 ოქტომბრით – წიგნის ავტორის პირადი არქივიდან.

პ. ს. ამ პატარა ამონაწერით გასაგებია, რატომ აღიარა თავის ერთადერთ მემკვიდრედ თორნიკე ერისთავმა უმცროსი ასული ნინო. მამას აუცილებლად ეცოდინებოდა უკრაინაში ელენეს ქონება-მამულების ფაქტი: ელენე ერისთავ-პოპოვას ქალვაჟს ანასა და ვასილს ხომ ისედაც უდიდესი ქონება დარჩათ მამისაგან და მდიდარი უკრაინელი პაპისაგან უკრაინის რამდენიმე ქალაქსა და სოფელში! პოპოვების საგვარეულო ნუსხიდან კი ანასა და ვასილის შთამომავალთა ბედის გარკვევაც ძნელი არაა; უკრაინელთა მეხსიერებაში შემონახული ამ ისტორიიდან ის ფაქტიც ჩანს, რომ ელენე ერისთავი მეუღლეზე ადრე გარდაცვლილა, მეჯლისზე ხომ თანამებრძოლები ოჯახის უფროსს – პავლე პოპოვს ეწვეოდნენ და არა მის ქვრივს!

ერისთავები უკრაინის არქივებში "ცოცხლობენ".

თამარ გაბოძე.

წყალსადენის ქსელის სრული მოწყობის სამუშაოები

სასმელი წყლის ქსელის სადაწნეო მილსადენი - 1 700 გრძივ მეტრზე სატუმბ სადგურამდე და რეზერვუარამდე ლაგდება. ქსელიდან მიერთებები 60 ოჯახზე განხორციელდება, რაც მათ სოციალურ პირობებს გააუმჯობესებს.

წყალსადენის სამუშაოები საკორინთლო - ახალშენას მიმართულებით გზის სრულ მოასფალტებამდე დასრულდება. სამუშაოების ღირებულება 260 000 ლარია, რომელსაც შპს "მშენებელი" ახორციელებს

მაკულატურა – გადარჩენილი ხე და ახალი წიგნია

კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში CENN ის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიქრის გორას" ინიციატივით, მწვანე ყუთები დაიდგა. „ფიქრის გორასთან" არსებულ გოგონათა კლუბის წევრებმა მწვანე ყუთები მუყაოსაგან დაამზადეს, გააფერადეს და დაწესებულებებში განათავსეს. მათი მიზანია შეგროვილი მაკულატურით მუნიციპალიტეტმა შეიძინოს წიგნები, რომელიც ბიბლიოთეკას გადაეცემა.

,,ფიქრის გორასთან" არსებული გოგონათა კლუბი მომავალშიც გეგმავს მუნიციპალიტეტში შეარჩიოს დაწესებულებები და ქაღალდის ნარჩენების შეგროვების მიზნით, დაუმზადოს მუყაოს ყუთები. ჩვენ თუ შევძლებთ ამ აქციით თუნდაც ერთი ხის გადარჩენას, ეს იქნება სასარგებლო - აღნიშნა გოგონათა კლუბის წევრმა მაიკო თაბუაშვილმა.

მწვანე ყუთების მომზადება და ორგანიზაციებში განთავსება ხორციელდება პროგრამის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში" (WMTRI) ფარგლებში.

პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას ქვეყანაში ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზებაში და მხარს უჭერს მდგრად განვითარებასა და ინკლუზიურ ეკონომიკის ზრდას, უზრუნველყოფს ნარჩენების ისეთ მართვას, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს ნარჩენების მიერ ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ რესურსებზე მიყენებულ ზიანს.

ფერების ფესტივალი 2018-2019

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კასპის ცენტრში ფერების ფესტივალი გაიმართა. საზეიმოდ, ფერადი ბუშტებითა და სანათებით მორთული მოედანი ხალისიან განწყობას უქმნიდა მონაწილეებსა და მაყურებელს, რომელზეც მათთვის სპეციალურად მოწვეული დიჯეი ზრუნავდა. ფერების ფესტივალი ფეიერვერკით დასრულდა.

ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ფოტო-მაჯიანე

,,ახალი განთიადი,, იძიებს ცალიერებლო ფურცლებს რაიონის ცხოვრების მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლო და ცახალიანი ფოტოები!

პირველკლასელებო! გილოცავთ !

კასპში, ქალაქის პირველმა საჯარო სკოლამ 2018-2019 სასწავლო წელი თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სკოლაში დაიწყო. ახალმოსახლეობა და ახალი სასწავლო წელი მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს მიულოცეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ზვიად როსტომაშვილმა, პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მაია დაბრუნდაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ, კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა, პედაგოგებმა დალი ხაჩიძემ, მანანა ყაბანაშვილმა, პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, სსიპ საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო - საპროექტო სამსახურის უფროსმა მერაბ ჭონიაშვილმა, რომელიც პროექტის განხორციელების ერთ-ერთი ინიციატორი გახლავთ.

სკოლა 650 მოსწავლეზეა გათვლილი, რომელიც ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ისინი დაბრკოლების გარეშე შეძლებენ სართულებს შორის გადაადგილებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტის საშუალებით. მშენებლობა დაიწყო 2016 წლის აგვისტოში სახელშეკრულებო ღირებულებით 6 000 000 ლარამდე.

2009 წელს პირველი სკოლის 120 წლის იუბილეზე, როცა სკოლის კურსდამთავრებულები მშობლიურ შენობაში შეიკრიბნენ პირადად მოვისმინე, დაძველებული შენობის შემხედვარე მერაბ ჭონიაშვილმა როგორ უთხრა მის მასწავლებელს დალი ხაჩიძეს - ან გაგირემონტებთ ან ახალ შენობას აგიშენებთო! ნათქვამი მორიგ შეუსრულებელ დაპირებად მომეჩვენა... არადა, თურმე, პირველი სკოლის მშენებლობა მილენიუმის პროგრამაში უკვე ყოფილა გაწერილი.

ფუნდამენტური შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ სკოლა რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, ის კი არა, ექსპერტების დაჟინებული მოთხოვნით სკოლა დაიცალა, ბავშვები მესამე საჯარო სკოლაში გადაიყვანეს და გამოცხადდა აუქციონი სკოლის შენობის დასანგრევად. პირველი ტენდერი ჩავარდა, გამოცხადდა მეორე, ისიც ჩავარდა ...

სკოლის დანგრევის დროში გავრცობილი პროცესის გამო ქალაქი გაივსო ძალიან გულსატკენი და როგორც ახლა დადასტურდა აბსურდული ჭორებით:

- სკოლის შენობის ადგილი გაყიდულია, იმას (.....) უყიდია და სასტუმროს აშენებს, უბრალოდ დრო გაყავს ხალხი რომ არ ავჯანყდესო...

- ხალხი რატომ უნდა ავჯანყდეს?

- იმიტომ რომ პირველი სკოლა გაქრება, საჭირო აღარ არის და მორჩა ...

მრავლის გამგონე კასპელები კი ტყუილ-მართლის გარკვევას ვერ ახერხებდნენ...

შენობის დანგრევის ტენდერის ორჯერ ჩავარდნის შემდეგ სსიპ საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ მიიღო უფლება სკოლის დანგრევა-მშენებლობის ტენდერი გამოეცხადებინა. ტენდერში კომპანია "თბილმა სახლმა" გაიმარჯვა.

2015 - 2017 წლებში სკოლა ქალაქის მესამე სკოლაში აგრძელებდა სასწავლო პროცესს.

დადგა 2018-2019 სასწავლო წელი. ევროპული სტანდარტებით აშენებულმა კასპის №1 საჯარო სკოლამ მოსწავლეებს კარი გაუღო. სკოლაში სტუმრობისას თვალში საცემია სივრცე და განათების თავისებურება - კერძოდ, დღე ბუნებრივი განათებით ივსება დერეფნები და კლას-კაბინეტები; ღამით ეკონომიური ლედნათურები ანათებენ, დერეფნებში ამსტრონგის აკუსტიკური ჭერი შთანთქავს ხმაურს. ფანჯრები იზოალუმინისაა - ალუმინის კარ-ფანჯრები უზრუნველყოფს თბოდანაკარგების, ხმის და წყლის იზოლაციის ოპტიმალურ დონეს. ისინი ასევე გათვლილია უსაფრთხოების სასურველ დონეზე, ასევე ცეცხლმედეგობის კლასზე.

სკოლის ახალ შენობაში გათვალისწინებულია ყველა დეტალი ინკლუზიური სწავლებისათვის.

ფასადი არის ვენტილირებადი ფუნდერმაქსით, კერძოდ ვენტილირებადი ფასადი - ეს არის კონსტრუქცია, რომელიც შედგება ფასადის დამცავ - მოსაპირკეთებელი მასალისა და კედელზე მისი სამაგრი ქვეკონსტრუქციისაგან. ქვეკონსტრუქცია მაგრდება შენობის ფასადზე ისე რომ, მოსაპირკეთებელ



მასალასა და კედელს შორის დარჩეს საჰაერო შრე, რომელიც მოქმედებს ბუნებრივი სავენტილაციო - გამწოვი მილის პრინციპით, ატმოსფერულ ნალექებს და ტენს აცილებს შენობის კედლებს, უზრუნველყოფს კედლების მუდმივ დაცვას, ამცირებს თბოდანაკარგებს.

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, კარადებით,

გასახდელებით (გოგონებისა და ვაჟებისათვის), საშხაპე კაბინებით. თანამედროვე კლას-კაბინეტებში დაგებულია ვინილის იატაკი, მოცურების საწინააღმდეგო თვისების მქონე იატაკზე გადაადგილება უხმაურია, მასალა ძალიან გამძლეა, სატესტოდ რამე რომ აიღოთ და კაწროთ, ვერაფერს დაატყობთ, თან ძალიან წყალმედეგია.

მოსწავლეები სათანადოდ დააფასებენ სკოლის ფართო დერეფნებს სადაც თავისუ-

ფალი გადაადგილების საშუალებაა, რეკრეაციული სივრცე კი ნამდვილად დაეხმარებათ ძალების აღდგენასა თუ გაკვეთილებს შორის დასვენებაში.

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე გაგრილება-სავენტილაციო სისტემებით, აქვს საკუთარი ენერგო მომარაგების გენერატორი.

კვების ბლოკი ცალკე საუბრის თემაა, კერძოდ ცალკეა გამოყოფილი სასადილო ოთახი, სამზარეულო, საცხობი, პროდუქტების გასაცემი და შესანახი სივრცეები.

ლირიკული გადახვევა ანუ ამბავი ერთგულებისა

მთელი ცხოვრების მანძილზე მაინტერესებს - რატომ აქვთ გამორჩეული დამოკიდებულება პირველსკოლელებს მშობლიური ალმამატერის მიმართ. რა იყო იმ კედლებში ასეთი საკრალური, როგორი მასწავლებლები გვზრდიდნენ და გვიტარებდნენ დაუვიწყარ გაკვეთილებს, რა შეხვედრები ეწყობოდა, რომელი სიმაღლეების დასალაშქრად გვამზადებდნენ ...

... მაშინ პირველ სკოლას სიყვარულით აკადემიას უწოდებდნენ. სკოლის დირექტორმა სიმკაცრისა და მზრუნველობის ეტალონმა დიმიტრი ხუსკივაძემ გამოიძახა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები მერაბ ჭონიაშვილი და ზაზა კლიმიაშვილი - ახლა ეზოში მოძებნით ცენტრს, შემოხაზავთ წრეს და ჩარგავთ ცაცხვის ხეს.

- რატომ ცაცხვი? - ჰკითხა ზაზამ მეგობარს.

- დიდი ხეა და ბევრი ხუთიანი დაეტევა - ეშმაკურად მოჭუტული თვალებით იხუმრა მერაბ ჭონიაშვილმა.

დიმიტრი ხუსკივაძე ფანჯრიდან "აკონტროლებდა" როგორ შემოხაზეს ბიჭებმა წრე "ცოცხალი" ფარგლით. ერთი ცენტრში იდგა და ცალი ხელით ეჭირა მეგობარი, ის კი თავისუფალი ხელით საზღვრავდა წრეს.

იმ შორეულ 1973 წელს იცოდა თუ არა კურსდამამთავრებელმა მერაბ ჭონიაშვილმა, რომ ათწლეულების შემდეგ პირველი სკოლის ახალი შენობის პროექტის განხორციელების ერთ-ერთი ინიციატორი გახდებოდა ამაზე ისტორია დუმს, მაგრამ დღეს ის ძალიან ამაყი და ბედნიერია საოცნებო რეალობად რომ აქცია.

და კიდევ, 17 სექტემბერს, როცა ახალ შენობაში სწავლა განახლდა გავიგეთ, რომ მერაბ ჭონიაშვილის დაბადების დღე იყო. თავად იუბილარმა კი მოკრძალებით გაგვიმხილა - ეს ალბათ ბედის საჩუქარია ჩემი დაბადების დღეს რომ იწყება სწავლა... სკოლის შენობა დამთავრებულია, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება ... ამ დღეებში აუცილებლად უნდა მოვიტანო ცაცხვის ხე და დავრგა.

ეს ისევ იმ თემის გაგრძელებაა მთელი ცხოვრების მანძილზე რომ მაინტერესებს - რატომ აქვთ გამორჩეული დამოკიდებულება პირველსკოლელებს მშობლიური ალმამატერის მიმართ... ისე მეც მათ რიგებში ვარ...

ნანა მერებაშვილი.

პირველი საჯარო სკოლის XII კლასი 2017-2018 სასწ.წელი

ისინი ებრძვიან ავადმყოფობასა და სიბერეს

დასასრული. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №8.

1998 წელს სენსაციური ნაბიჯი გადადგეს ამერიკელმა მეცნიერებმა ჯეიმს ტომსონმა (დაიმახსოვრეთ ეს გვარი) და ჯონ ბეკერმა. მათ შეძლეს ღეროვანი უჯრედების გამოცალკევება ადამიანის ემბრიონისაგან და მიიღეს ამ უჯრედთა პირველი მწკრივი. აღმოჩენამ, რომ ღეროვანი უჯრედი 350 სხვადასხვა სახის უჯრედთა დაბადების საწყისს წარმოადგენს, არნახული ბიძგი მისცა მომქანცველ, მაგრამ შედეგიან კვლევებს.

ღეროვანი უჯრედების შესაძლებლობების შესწავლას ზედიზედ მოჰყვა არნახული წარმატებები და დაუჯერებელი აღმოჩენები, რომელთა რეალობასაც თვით მეცნიერებიც კი სკეპტიკურად უმზერდნენ, მაგრამ გამოჩნდა ბიოლოგიასა და მედიცინაში მათი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივები – პირველ რიგში კი ტრანსპლანტალოგიაში, იმუნოლოგიასა და ჰერონტოლოგიაში.

მრავალწლიანი კვლევების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ძვლის ტვინში არსებულ ღეროვან უჯრედებს (მათ სტრომალურ, გემოპოეტურ უჯრედებს უწოდებენ) სხვადასხვა პირობებში, აქვთ უნარი ნებისმიერი ორგანოსა და ქსოვილის უჯრედებად გარდაიქმნან – თვით ნერვულ უჯრედებადაც კი(!). ეს ჯერჯერობით მხოლოდ ლაბორატორიული მიღწევაა, მაგრამ ზურგისა და თავის ტვინის დაავადებების მქონე ადამიანებისათვის ერთობ დამაიმედებელია.

ბრიტანელმა მეცნიერებმა ჰარფილდის კარდიოლოგიურ ცენტრში გულის პარკუჭის ქსოვილის კულტივირება შეძლეს და მიიღეს სამი სანტიმეტრის დიამეტრის ახალი ქსოვილი. ამ პარკუჭმა, შესაძლებელია, მთლიანად შეცვალოს გულის დაზიანებული ნაწილი.

ის დაუჯერებელი ამბავი, რომ ღეროვანი უჯრედებისაგან განხორციელდეს მთლიანი გულის გაზრდა, მეცნიერთა აზრით, ათ წელიწადში სრულიად რეალური გახდება.

იტალიელმა ექიმებმა და ბიოლოგებმა კი კანისა და მისი ლორწოვანი გარსის აღდგენის ტექნიკა შეიმუშავეს. ორ პაციენტ ქალბატონს, რომელთაც საშვილოსნოს ყელის თანდაყოლილი დეფექტი ჰქონდათ, ღეროვანი უჯრედებისაგან ექიმებმა არც მეტი, არც ნაკლები საშო "შეუქმნეს", რა თქმა უნდა, სრულიად უმტკივნეულოდ. მათ ჩვეულებრივი სქესობრივი ცხოვრების საშუალება და ჯანმრთელობა დაუბრუნდათ. ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამგვარი კანის შექმნა ლაბორატორიულ პირობებში სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში გახდა შესაძლებელი.

ფილადელფიაში, ჯეფერსონის უნივერსიტეტში მკვლევარებმა მალათაშორის დისკებშიც აღმოაჩინეს ღეროვანი უჯრედები. ეს ამბავი მილიონობით ადამიანს, რომელიც ხერხემალში მიმდინარე დისტროფიული პროცესების შედეგად იტანჯება, ჯადოსნური ჯოხის მსგავს მშველელად მოევლინება, რადგან ხრტილში არსებულ ღეროვან უჯრედებს ცხიმოვან, ძვლოვან და ხრტილოვან ქსოვილად გარდაქმნის უნარი აღმოაჩნდათ. მათი გააქტიურება კი ნებისმიერი დისტროფიის განკურნებას შეძლებს.

2007 წლის ნობელის პრემია ბიოლოგიაში სწორედ იმ მეცნიერებმა მიიღეს, ვინც შეიმუშავა ღეროვანი უჯრედების საშუალებით მემკვიდრეობითი დაავადებების მკურნალობა.

ამერიკელებმა – მარიო კაპეკიმ და ოლივერ სმიტისმა, ბრიტანელმა მარტინ ევანსმა ეს ექსპერიმენტი საცდელ თაგვებზე განახორციელეს. ბიოლოგები გვაფრთხილებენ, რომ ღეროვანი უჯრედების გამოყენება ადამიანთა გენეტიკური დაავადებებისაგან განსაკურნებლად მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

აღმოჩენების ტემპი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ცხადი ხდება, რომ ღეროვანი უჯრედები მედიცინის მომავალია. პესიმისტები 10-20 - წლიან პერიოდზე საუბრობენ. დროის გლობალური მასშტაბებისთვის ეს სულ მცირეოდენი ხანია, მაგრამ უკურნებელი და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისათვის სასურველია, რომ პერსპექტივა, რაც შეიძლება, სწრაფად იქცეს რეალობად. ამერიკის ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა და იაპონიის, კიოტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თითქმის

ერთდროულად აღმოაჩინეს, რომ ადამიანის კანის უჯრედების (ფიბროპლასტებისაგან) შესაძლებელია ღეროვანი უჯრედების მიღება. ორივე გამოკვლევა დამყარებულია მსგავს, მაგრამ არა ერთნაირ მეთოდებზე.

იაპონელ მეცნიერებს პროფესორი შინია იამანაკა ხელმძღვანელობდა, ხოლო ამერიკელებს – სწორედ ის ჯეიმს ტომსონი, რომელმაც პირველად გამოაცალკევა ემბრიონისაგან ღეროვანი უჯრედები.

მეცნიერებმა კანის უჯრედების მოდიფიცირება შეძლეს მათზე დნმ-ის იმ ოთხი სხვადასხვა გენის მოქმედებით, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურია ემბრიონის ჩამოყალიბების პროცესში. ასეთი აქტივირების შედეგად უჯრედებს "ავიწყდებათ" თავიანთი პროგრამა და ემბრიონის ღეროვან უჯრედებს ემსგავსებიან – პოტენციურად უფრო ძლიერები და მრავალფუნქციურები ხდებიან, შესწევთ უნარი, რომ ზრდასრული, სხვადასხვა სახის ქსოვილი აღადგინონ, წარმოქმნან ადამიანის სხეულის ნებისმიერი ორგანო, კუნთოვანი ჯგუფები თუ ნერვული კვანძები.

"ახლა ჩვენ უნდა ვისწავლოთ ადამიანის ღეროვანი უჯრედების გენერირება და უჯრედთა სხვადასხვა ტიპის მიღება. მაგ. გულის, ღვიძლის, ნერვული ... და, სამომავლოდ გზა გავუხსნათ უჯრედოვან თერაპიას." – განაცხადა ბატონმა იამანაკამ. ეს რევოლუციური ექსპერიმენტი იაპონიაში შეფასდა, როგორც ნობელის პრემიაზე წარსადგენი აღმოჩენა, რადგან იგი სრულიად დაცულია მორალური და ეთიკური ხასიათის წინააღმდეგობებისაგან. აქ არც კლონირებაა გამოყენებული და არც ემბრიონი.

"ჩანასახი დავინახე და უეცრად ვიგრძენი, რომ იგი არაფრით განსხვავდება ჩემი ქალიშვილებისაგან." – წერს "ნიუ-იორკ ტაიმსისათვის" დაწერილ სტატიაში ბ-ნი იამანაკა. – "მივხვდი, რომ აღარ გვაქვს ემბრიონთა განადგურების უფლება ჩვენი გამოკვლევების გულისათვის. ვიფიქრე, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს მეორე გზა".

პროფესორი იამანაკა არ შემცდარა. მან და ჯეიმს ტომსონმა ერთმანეთთან შეუთანხმებლად იპოვეს ეს მეორე გზა, რომლის ბოლო ნიშნულამდე, მართალია, ჯერ კიდევ შორია, მაგრამ იგი მართლაც, ძალიან ჰგავს გრაალის თასის საიდუმლოს.

შეუძლიათ თუ არა ამ საოცარ უჯრედებს ადამიანის კანის გაახალგაზრდავება და სიბერესთან ბრძოლა? მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ესთეტიკური ქირურგია სულ მალე აღარ იარსებებს და ადგილს დაუთმობს უჯრედოვან ტექნოლოგიებს. ტეპლიაშინმა შეკრიბა მეცნიერები, რათა შეემუშავებინათ და დაენერგათ ღეროვანი უჯრედების პრაქტიკული გამოყენების გზები. მეცნიერები ახალგაზრდა კანიდან აღებულ უჯრედებს ინახავენ და აქტიურებენ. ტეპლიაშინი დარწმუნებულია, რომ მალე ნაოჭების განკურნება შესაძლებელი გახდება საკუთარი ღეროვანი უჯრედების ინექციებით.

თხუთმეტი წლის განმავლობაში რუსი ბიოლოგები მუშაობდნენ სანკტ-პეტერბურგთან ახლოს, საიდუმლო ლაბორატორიაში, სადაც შექმნეს პრეპარატი "მატოკინ". იგი არ შეიცავს ღეროვან უჯრედებს, არამედ სხვანაირად ზემოქმედებს ქსოვილზე. ეს პრეპარატი თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც დამწვრობის საწინააღმდეგო, კანის აღმდგენი საშუალება, მაგრამ კოსმეტიკური ბრენდების დიდი დაინტერესება გამოიწვია. კრემში არსებული ნივთიერებები სწორედ ღეროვან უჯრედებს ააქტიურებს და კანს აახალგაზრდავებს. ევროპაში იგი უკვე ელიტარულ პრეპარატად მიიჩნიეს და წარმატებით იყიდება.

ღეროვანი უჯრედების კოსმეტიკური თვისებების შესახებ "დიორის" კვლევითმა ცენტრმაც გადაწყვიტა საკუთარი პოზიციის გამოხატვა. პროფესორმა პინჩელიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კანის სიღრმეში არსებული ზრდასრული ღეროვანი უჯრედების გააქტიურება და ნაოჭების დამარცხება შესაძლებელია უკვე დაპატენტებული კომპლექსის "შტემსომე"-ის გამოყენებით. პროფესორმა ამ პრეპარატს ურთულესი ბიოვექტორი უწოდა, რომელმაც დაუჯერებლად უნდა შეანელოს დაბერების პროცესი. თუმცა, ამ საკითხებში დერმატოლოგთა მოსაზრებები ერთმანეთს უპირისპირდება. მათი ნაწილი საუბრობს კრემების ზემოქმედებით გამოწვეულ მოსალოდნელ დისბალანსზე და უპირატესობას ინექციების პერსპექტივას ანიჭებს.

როგორ შეიძლება ღეროვანი უჯრედების გააქტიურება გაახალგაზრდავების მიზნით, მეცნიერებას ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გააჩნია, მაგრამ მკვლევართა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ამის პასუხი არსებობს და შესაძლოა, იგი იამაკასა და ჯეიმს ტომსონის ბოლოდროინდელ აღმოჩენაში დევს.

ყველაზე გაბედულ ფანტასტიკურ ხილვაშიც კი, ძნელია წარმოიდგინო მატერიალური სამყარო, სადაც უსინათლონი დაინახავენ, ხეიბარნი აღსდგებიან, აღარ იქნება ტკივილი, ავადმყოფობა და სიბერე... თუმცა, იქნებ, ვიმედოვნოთ, რომ ღეროვანი უჯრედის ფენომენი ცოტათი მაინც შეცვლის ადამიანთა ცხოვრებას.

ბრიტანულ კლინიკებში დაიწყო ექსპერიმენტი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის სფეროში. მიოკარდიუმის ინფარქტ გადატანილი პაციენტების გულის კუნთში შეჰყავთ ღეროვანი უჯრედები, რომლებიც ჩაენაცვლება მიოკარდიოციტებს.

კვლევის პირველი ეტაპი ლონდონის კლინიკებში ხორციელდება და მათი წარმატების შემთხვევაში ეს შედარებით უსაფრთხო და დაბალი ღირებულების მეთოდი დიდი ბრიტანეთის სხვა კლინიკებშიც დაინერგება.

კუნთოვანი ქსოვილის წინამორბედი ღეროვანი უჯრედები გამოიყოფა სისხლმბადი ღეროვანი უჯრედებისაგან და შეყვანილი იქნება კორონარულ არტერიაში, საიდანაც ისინი გულის კუნთის დაზიანებულ უბანში მოხვდება. მანიპულაცია დამატებით ქირურგიულ ჩარევას არ მოითხოვს, რადგანაც ღეროვანი უჯრედების შეყვანა სტენტირების დროს განხორციელდება. ღეროვანი უჯრედების შეყვანა იმ ზონდით მოხდება, რომლითაც სტენტი შეჰყავთ ბლოკირებულ არტერიაში.

ახალი მეთოდის ლაბორატორიულმა კვლევებმა წარმოაჩინა, რომ ძვლის ტვინიდან მიღებული ღეროვანი უჯრედები მართლაც, იწვევს გულის კუნთის ნაწილობრივ რეგენერაციას.

კვლევის პირველ ეტაპში ჩართული იქნება 100 პაციენტი. ღეროვანი უჯრედების ინექცია მხოლოდ 50 პაციენტში განხორციელდება. დანარჩენი პაციენტები საკონტროლო ჯგუფს შეადგენენ: მათ კორონარებში ღეროვანი უჯრედებისაგან თავისუფალ პლაზმას შეიყვანენ.

ღეროვანი უჯრედები ახალი საუკუნის არა მხოლოდ იმედი, პლატფორმაც გახლავთ, რომელზეც დაშენდება მომავლის სამკურნალო სინამდვილე, მატერიალური სამყარო, სადაც ადამიანები საოცნებო ჯანმრთელობით იცხოვრებენ.

მ. სირბილაშვილი.

სავანთა სავანი

მასწავლებელი მარტო საგანს არ ასწავლის, ბევრად უფრო მეტს – იმას, რომ "იყო კაცი, იყო ის, რაც შენი გულის უღრმეს ხატშია აღბეჭდილი."

თამაზ ჩხენკელი, მწერალი და პუბლიცისტი, მეცნიერი.

ლეილა ვარდოშვილი – ახალქალაქის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: წელს ორმოცდამეშვიდე სასწავლო წელი დაიწყო ჩემთვის და ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რამდენი რამ მაქვს გასახსენებელი... სრულიად ახალგაზრდა, უმაღლესდამთავრებული ვიყავი, როდესაც პედაგოგობა დავიწყე. მართალია, ახალქალაქი ჩემი მშობლიური სოფელია, აქ დავიბადე, მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე და სოფელში ყველა კარგად მიცნობდა, თავს კომფორტულადაც ვგრძნობდი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც არ იყო მარტივი სახელისა და ავტორიტეტის, სიყვარულის მოხვეჭა და ამ საქმეში ძალიან დამეხმარა ლიტერატურა... რადგან ეს საგანი მარტო მოსწავლეებისათვის კი არა, ყველას გზამკვლევია, იგი ერთგვარი ხიდია, ცხოვრების გაცნობისა და შესწავლის საუკეთესო წყაროა, უფრო მეტიც, ლიტერატურა ხომ საგანთა საგანია...

ამდენად, მასწავლებლის პროფესიამ და ლიტერატურის საფუძვლიანმა ცოდნამ უდიდესი სიხარული, წარმატება და აღიარება მომიტანა. წლების განმავლობაში ვიყავი განათლების შტატგარეშე ინსპექტორი და რაიონის სკოლებში ვამოწმებდი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხს. სწორედ მაღალი პროფესიონალიზმის, გამოცდილებისა და ობიექტურობის გამო რამდენჯერმე მიმიწვიეს გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მისაღებ გამოცდებს ვესწრებოდი, ბავშვების ნაწერებს ვაფასებდი... ცოდნის, გამოცდილებისა და დამსახურებისათვის მიღებული მაქვს უამრავი დიპლომი, საპატიო სიგელი, საუკეთესო მასწავლებლის სამკერდე ნიშანი, მონიჭებული მაქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

მეამაყება, რომ ბევრი ჩემი ნამოწაფარი დღეს სახელოვანი და წარმატებული ადამიანია, მათ შორის ბევრი ცნობილი ექიმი, იურისტი, არქიტექტორი, ხელოვანი, თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნიერი და რაც ყველაზე გასახარია ჩემთვის და შემიძლია თავი მოვიწონო, აღზრდილი მყავს ქართულის მასწავლებელთა "არმია", სხვათა შორის, ახალქალაქის სკოლაში ამჟამად ჩემი ნამოწაფარი 12 პედაგოგი მოღვაწეობს, სკოლის ამჟამინდელი სასწავლო ნაწილი, ია ვარდოშვილიც ჩემი აღზრდილია.

... ამასობაში დროც შეიცვალა და ცხადია, მასთან ერთად ყველაფერი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ უეცრად სულ სხვა გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით და სკოლა, მასწავლებელი ახლა უკვე სრულიად განსაკუთრებული, მე ვიტყოდი, პროგრესული და განსხვავებული დირექტივებით ხელმძღვანელობს. მართალი გითხრათ, მიხარია, რომ განათლების სისტემაში მრავალი სიახლე დაინერგა, უამრავი საინტერესო რეფორმა განხორციელდა, თუმცა, პირადად მე, სწავლების არც ზოგიერთ ძველ მეთოდზე ვიტყოდი უარს.

რატომ ვფიქრობ ასე?.. ახლავე მოგახსენებთ. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ უწინ მოსწავლე სკოლაში ფართო განათლებას იღებდა, დიახ, უწინდელი სკოლადამთავრებული ნამდვილად ერუდირებული იყო... მე თუ მკითხავთ, უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილი მისაღები გამოცდების ფორმით ანუ ამ ეგრეთ წოდებული ტესტირებით რატომღაც მგონია, რომ სრულფასოვნად ვერ ფასდება აბიტურიენტის ცოდნის, განვითარების დონე, რასაკვირველია, ეს გახლავთ ჩემი პირადი მოსაზრება, რომლის გაზიარებაც მინდოდა... და კიდევ, ამ ორი-სამი წლის წინ ჩვენს საჯარო სკოლებში შემოიღეს / ამერიკული მეთოდი/ სწავლების ახალი პროცესი, "ჯიპრატის" პროგრამა, სხვათა შორის, აქ გამოყენებული იყო თვალსაჩინო საშუალებების ელემენტებიც და ამის გამო, რატომღაც მოსწავლეებში პროცესი ხალისსა და ინტერესს იწვევდა, მაგრამ ეს ხდებოდა საპროგრამო მასალის ათვისების ხარჯზე და სწორედ ეს იყო ჩემთვის მიუღებელი...

მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან იმედიანად ვარ, რადგან პროგრესი, წინსვლა სახეზეა. მივაღწიეთ იმას, რომ დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა საჯარო სკოლაში სწავლების პროცესი ეროვნული პროგრამით ხორციელდება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოიცა /პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით / ხარისხიანი სახელმძღვანელოები, რაც რასაკვირველია, ძალიან ბევრს ნიშნავს როგორც მოსწავლისთვის, ასევე პედაგოგისთვის. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი სასწავლო წელი კიდევ უფრო გამორჩეული, შთამბეჭდავი იქნება და მსურს თამამად განვაცხადო, ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სათაყვანო მოსწავლეებს / მეცხრე კლასიდან მე-12 ჩათვლით/ ვასწავლი სიყვარულს, მიმტევებლობას, თავმდაბლობას, ადამიანობას... შემდეგ კი, მთავარ საგანს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, რომელიც ცხოვრების შეცნობის საუკეთესო წყარო გახლავთ...

რ. ქართლელიშვილი

ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის მარად გაუხუნარი სენტენცია, "ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ" – ყოველწამიერად გვახსენებს, რომ პატარებზე ზრუნვა უპირველესია და ისიც ცნობილია, რომ განათლებული და სულიერად ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი მომავალი თაობის აღზრდა სამთავრობო პრიორიტეტია... ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ კასპის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განხორციელებული ბოლოდროინდელი მასშტაბური სამშენებლო, სარემონტო თუ აღდგენითი ინფრასტრუქტურული სამუშაოები...

მარტო პატარებს კი არა, მათ მშობლებსა და ახლობლებს, დიდსა თუ პატარას ნამდვილად მიუხაროდა საბავშვო ბაღებში მისვლა, დიახ, სასიამოვნო, მხიარული განწყობით დაიწყო 17 სექტემბერს სააღმზრდელო პროცესი მუნიციპალიტეტის ოცდაექვსივე დაწესებულებაში... ეს დღე ნამდვილ დღესასწაულს ჰგავდა ქალაქის საბავშვო ბაღებში, სადაც პატარებთან ერთად აღტაცებასა და სიხარულს გამოხატავდნენ მშობლები, მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სააღმზრდელო პროცესის დაწყების მოსალოცად პატარებთან მოვიდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აპარატის თანამშრომლები: მანანა მერებაშვილი, ნინო ჯუხარიძე, ხათუნა ხაჩიძე, მაია მაზმიშვილი, ნათია მოსიაშვილი, ოლია ლეონიძე, მაია ბარნოვი.

– დადებითი განწყობისა და წარმატებული მომავლის იმედი ნამდვილად არსებობს. რაიონის სოფლების თითქმის ყველა საბავშვო დაწესებულებაში, განსაკუთრებით კი, ქალაქის ხუთივე საბავშვო ბაღში შექმნილი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემო ნამდვილად საამაყოა, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და ჩვენს დაწესებულებებში დანერგილი სრულფასოვანი სააღმზრდელო მეთოდოლოგიის წყალობით საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი, მაგალითად, თუ გასულ წელს გვყავდა 1.574 ბავშვი, დღეის მდგომარეობით უკვე დაფიქსირებულია 1. 678

აღსაზრდელი, გამორიცხული არ არის, რომ ეს ციფრი კიდევ გაიზარდოს.

არადა, ეს არ გახლავთ მხოლოდ ვარაუდი, ამის საფუძველი ნამდვილად იგრძნობა. კეთილმოწყობილ და გალამაზებულ, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ დაწესებულებებში მოსულ ბავშვებს კი არა, მათ მშობლებსა და ახლობლებს აღარ უნდათ შინ დაბრუნება... პატარების ბედი ნამდვილად საიმედოდ არის დაცული, სამწუხაროდ ზოგ ბავშვს შესაძლებელია, საკუთარ სახლში არ გააჩნდეს იმის ნახევარი პირობები და გარემო, რასაც აქ "სთავაზობენ"... მომავალ წელს საკუთარ ბაღში იზეიმებენ სააღმზრდელო პროცესის დაწყებას სადგურ მეტეხის (დროებით იმყოფებიან პირველ ბაღში) ბავშვები. ბაღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი საზრუნავი გახლავთ ბავშვთა კვების ბლოკი, რომელიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში კონტროლდება, მოწმდება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და დაცულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ნორმები, კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს...

შინაურულ სასპორტო არენებზე

* აღაიანი – ზურაბ მუზაშვილის (1977-2015) ხსოვნის მემორიალური ტურნირი: აგვისტოში შესრულდა მეხანძრემაშველის დაბადებიდან 41 წელი, ხოლო ორიოდე თვით ადრე – 3 წელი მისი ამ ქვეყნიდან გმირულად აღსრულებიდან, როცა 2015 წლის 13 ივნისის ღამით თბილისური სტიქიური მოვლენის დროს საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ათამდე ადამიანი. 23 აგვისტოს აღაიანში გაიმართა გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია სოფლის ცენტრში, დიდების ობელისკთან, და, ასევე, გაიხსნა საჭიდაო დარბაზი.

სოფელ აღაიანის მოსახლეობის, გმირის ყველა მეგობრის, ასევე, კასპის სპორტკომპლექსის თანამშრომელთა სურვილია, რომ ახალგახსნილ სასპორტო კერას ოფიციალურად მიენიჭოს ზურაბ მუზაშვილის სახელი. მას გარკვეული წარმატებები ჰქონდა სპორტში და მწვრთნელობა სურდა საკუთარ სოფელში...

აქვე წარმოგიდგენთ კასპის რაიონის ჭაბუკთა ღია წლევანდელი ტურნირის გამარჯვებულთა ვინაობას: ლუკა წინამძღვრიშვილი (მუხრანი), ლაშა ქამხაძე (ზემო ხანდაკი), სანდრო შარიფაშვილი (მუხრანი), გიორგი ხალიბეგაშვილი (იგოეთი), ლუკა ფეიქრიშვილი (აღაიანი), დავით გოდერძიშვილი (მცხეთა), შალვა მიდელაშვილი (მუხრანი), ვახტანგ ტაბარუკაშვილი (მუხრანი), თორნიკე ნაგლიაშვილი (მცხეთა) და სპარტაკ გულიაშვილი (კასპი).

* მეტეხი – იოსებ მაღალაშვილის სახელობისა: 2 სექტემბერი დაბადების დღეა იოსებ მაღალაშვილისა (1952) – კასპის რაიონის სპორტის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონისა სამბოში, მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში, ფოტო გამოფენილია ქართული სპორტის მუზეუმში... მისი დაბადების 66-ე წლისადმი მიძღვნილი სასპორტო ღონისძიება, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ეგიდით (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი), გაიმართა არა 2013 წელს გახსნილ იოსებ მაღალაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე, არამედ საჭიდაო სახლის დარბაზში, რომელიც შიდა ქართლის (და არა მარტო) ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ სოფელში მწყობრში ჩადგა 1986 წელს – დიახ, მეტეხს აქვს ასეთი ფუფუნება (მხარეები თუ შეთანხმდებიან, არის სურვილი და მზაობა იმისა, რომ ახლო მომავლიდან ტურნირის ორგანიზატორობა რაიონის სპორტის მესვეურებს გადმოეცეს).

აქ ამჯერადაც არაერთმა ცნობილმა მოჭიდავემ იასპარეზა, როგორც წინა საუკუნის მიწურულში ხდებოდა. აი, ყველა ჩემპიონისა და პრიზიორის ვინაობა და სადაურობა, რაც დასტურია დიდი ჩემპიონის სახელისათვის საკადრისი ტურნირის მონაწილეთა გეოგრაფიული ფართო არეალისა. ოღონდ, მათივე სპორტული ოსტატობის საერთო დონე თუ მოიმატებს, ეს ქართულ ჭიდაობას დიდად წაადგება.

მაშ, ასე, აი, ისინი: 62 კილოგრამამდე წონითი კატეგორია – ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა), იოსებ ცერცვაძე (ქარელი) და გიორგი გაბინაშვილი (კასპი); 73 – გაგი ლიჩელი, ნიკა კაკაშვილი (ორივე ქარელი) და ლუკა დავითაშვილი (კასპი); 82 – გიორგი დიდებაშვილი (დედოფლისწყარო), ვაჟა აბრამიშვილი (თბილისი) და გიორგი მულაძე (ქარელი); +82 – ონისე ბუღაძე (საჩხერე), ლაშა ტაველური (თბილისი) და ზურაბ ლიქოკელი (თელავი).

* თელიანი – სულხან ბახტაძის (1927-1994) ხსოვნის მემორიალური ტურნირი: ქართული სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღვაწლმოსილი პედაგოგი სულხან ბახტაძე იყო არა მარტო თავისი დროის სახელგანთქმული მოჭიდავე – რაინდი, არამედ, მრავალი წლის განმავლობაში, მოსწავლეახალგაზრდების კვალიფიციური აღმზრდელი სკოლაში და ფიზკულტურულ-სპორტული მეთოდისტი სოფელში... თელიანელებმა "თელებქვეშა საჭიდაოს" ძველი არენის სანაცვლოდ ახალი გამართეს, წრეში ნახერხი გაშალეს და, აგერ, სექტემბრის პირველივე შაბათდღეს ძველქართული "საჭიდაოს" ხმაზე ფრიად გახალისდნენ, როცა იხილეს ახალთაობელ ყმაწვილ-ჭაბუკ მოჭიდავეთა წყვილების ცეცხლოვანი პაექრობანი. მთელი ასპარეზობის დასურათება შორს წაგვიყვანს. აი, ისინი, ვინც სხვებზე მეტად იყოჩაღა: მეტეხელები – ლუკა შარიფაშვილი, ნიკა კალატოზიშვილი და ნუგზარ გელხაური, თელიანელი ნიკა ბერიაშვილი, აღაიანელი ლუკა ფეიქრიშვილი, ლამისყანელი ნიკა ფავლენიშვილი და დოესელი სულიკო ახალკაცი.

* ხოვლე – სულიკო კოშაძის ხსოვნის მემორიალური ტურნირი: აქაურებს რაიონის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი საჭიდაო არენა ჰქონდათ, ის 1987 წლის 9 მაისს გახსნეს და წარსულში სახელგანთქმული თანასოფელელი მოჭიდავის სახელი მიაკუთვნეს. გავიდა სამ ათეულ წელზე მეტი და... ბოლო წლებში მათ მხოლოდ ერთხელ (2016 წლის სექტემბერში) მოახერხეს "დიდი ჭიდაობის" ჩატარება "ყურაშვილების თასზე", სხვა დროს სულაც კავთისხეველებისა "ითხოვეს"...

და, აი, დანავსული საჭიდაო ისევ გაცოცხლდა: სპორტკომპლექსის დირექციის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) ორგანიზებითა და სოფლის თავკაცთა (გამგებელი ბაჩო ხუციშვილი) თანადგომით სოფლის ძველ საჭიდაოზევე შესაძლებელი გახდა ჭაბუკთა ტურნირის გამართვა. ყველაზე უმცროსები "ჩიტის წონაში" (30 კგ-მდე) გამოვიდნენ, უფროსები 70-ის ზევით არ შეზღუდულან, სულ კი 11 კატეგორიაში განაწილდნენ.

ყველაზე ტექნიკური მონაწილისათვის დაწესებული პრიზი, ადგილობრივი მაყურებლის გულგასახარად, დაიმსახურა ხოვლელმა ცოტნე ბახტაძემ. მან გაიმარჯვა თავის წონაშიც (38). პერსპექტიულ ყმაწვილს საგანგებო ჯილდო გადასცეს ბაჩო ხუციშვილმა – მშობლიურ სოფელში ქართული ჭიდაობის გამოცოცხლების დიდმოსურნე ახალგაზრდა კაცმა, და საკუთარმა პაპამ – სპორტკომპლექსის ძიუდოს მწვრთნელმა, ბერდია ბახტაძემ.

აი, სხვა გამარჯვებულებიც: მეტეხელები – ლუკა შარიფაშვილი, ვალერი მღებრიშვილი და სოსო ჟივიძე, ლამისყანელი გიორგი ფავლენიშვილი, ნიაბელი გიორგი ხიზამბარელი, თელიანელები – ლევან მამულაშვილი და ირაკლი დემეტრაშვილი, კასპელი სანდრო ახლოური, კავთისხეველი ლუკა შეშაბერიძე.

ბოლოს, რამდენიმე ნიშანდობლივი და სიმბოლური ფაქტის შესახებ:

– დაჯილდოების საპატიო მისიის ერთ-ერთი შემსრულებელი გახდა ვეტერანი ტიტულოვანი მოჭიდავე, ხოვლელი შალვა პაპინაშვილი – 1984 წლის მსოფლიო ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი სამბოში. მან დიპლომები და მედლები გადასცა "70"-ში გამორჩეულ სამეულს: ნიკა მაისურაძეს (აღაიანი), ფრიდონ მჭედლიშვილსა და ალექსანდრე მარიდაშვილს (ორივე მეტეხი).

– ტურნირს მაყურებლის როლში სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი კასპის რაიონიდან ირაკლი მეზურნიშვილი.

– საპატიო სტუმართა შორის იმყოფებოდა სოფლის მიწა-წყლის შვილი, ღვაწლმოსილი და ჭარმაგი კაცი, ქართული ჭიდაობის დიდი ტრფიალი და მოამაგე, 84 წლის ტრისტან ხუციშვილი: თავის დროზე, რაიონის ჭიდაობათა ფედერაციის პრეზიდენტად ყოფნისას, მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ქართული სპორტისათვის. მშობლიურ სოფელში ორიგინალური პროექტის საჭიდაო არენის ამგები სწორედაც ბატონი ტრისტანი ბრძანდება.

საგარეო რეზონანსისა, ოღონდ, საჩვენო...

20 აგვისტოდან 20 სექტემბრის ჩათვლით კალენდარულ პერიოდში კასპელმა მოჭიდავეებმა რამდენიმე რეზონანსული წარმატება მოიპოვეს საგარეო მასშტაბის ასპარეზობებში:

– სულ ახლახან, 20 სექტემბერს, 30 წლის ძიუდოისტმა ამირან პაპინაშვილმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა მსოფლიო ძიუდოისტთა ჩემპიონატში;

– ერთი კვირით ადრე, 13-ში, 21 წლის ჯაბა პაპინაშვილმა, ასევე, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე. ასე რომ, "ბრინჯაოს ძმების" დუეტმა ბევრი ქართველის გული სიამაყით აავსო. მადლობა მათ!

– გვასახელა მეტეხელმა გამოცდილმა მოჭიდავემ ბექა ბერძენიშვილმა: მან ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში იასპარეზა და მძიმეწონოსანი სამბისტების აბსოლუტურ ფალავნობაში გამარჯვებისათვის შესანიშნავი ჯილდო ირგუნა – ავტომობილი! წლის ბოლომდე მას ორი უმთავრესი შეჯიბრება მოელის: ბუქარესტული მსოფლიო პირველობა (ნოემბერში) და საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა (დეკემბერი);

– მისასალმებელია, ასევე, ხოვლელი ბექა მიქუტიშვილის მიღწევა: დაბა კოჯორში მოიგო იქაური ცნობილი მოჭიდავე-ძიუდოისტის, გურამ თუშიშვილისადმი მიძღვნილი დიდი ტურნირის ფინალური ორთაბრძოლა ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში.

ჩვენი კალენდარი

სექტემბერში დაიბადნენ:

2.IX.1952 – იოსებ მაღალაშვილი: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1974), სამბოში მსოფლიო ჩემპიონი (1974) და ვიცე-ჩემპიონი (1975), სსრკ-ის 5-გზის ჩემპიონი; თავისუფალ ჭიდაობაში – სსრკ-ის ჩემპიონი;

15.IX.1952 – ამირან ობგაიძე: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1974), სამბოში მსოფლიო ჩემპიონი (1974) და ვიცე-ჩემპიონი (1975), სსრკ-ის 5-გზის ჩემპიონი; თავისუფალ ჭიდაობაში – სსრკ-ის ჩემპიონი;

24.IX.1958 – დაბადებიდან საიუბილეო თარიღი, მე-60 წლისთავი, შეუსრულდა ვეტერან მოჭიდავეს, ამჟამად სპორტკომპლექსის მწვრთნელს, ჰამლეტ წიკლაურს;

1914 წლის სექტემბერში დაიბადა გიორგი ბასიაშვილი – ქართული სპორტის ღვაწლმოსილი პიროვნება.

... გარდაიცვალნენ:

10 სექტემბერს დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდებოდა გივი ("ჭანჭარა") ბალხამიშვილს (1938-2008) – საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ქართულ ჭიდაობასა და სამბოში (1957-73 წლებში), საკავშირო პირველობათა 3-გზის პრიზიორს, გამორჩეული სტილისა და ორიგინალური მანერების მქონე თვითნაბად მოჭიდავეს;

2010 წლის 30 სექტემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაიღუპა მშვიდობისმყოფელი, პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი – ყოფილი მოჭიდავე.

საწვრთნელ-სავარჯიშო პროცესი განახლდა

კასპის სპორტკომპლექსის დირექცია მიესალმება ყველა სპორტული სექციისა და ჯგუფის აღსაზრდელებსა და მწვრთნელებს ახალი, 2018-19 სასწავლო წლის დაწყებასა და საწვრთნელ-სავარჯიშო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით და წარმატებულ სპორტულ სეზონს უსურვებს.

შემოდგომაზე გამარჯვებებსა და მედლებს ითვლიან

სექტემბერი შემოდგომის პირველი თვეა. ნათქვამია, - წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ასეა სპორტშიც. დიახ, სპორტული სეზონი მეტი აქტიურობითა და დატვირთვით გრძელდება. ჩვენი რაიონის ბევრ სოფელში ახალბედა თუ ნაცადი მოჭიდავეები კვლავინდებურად მეტოქეობენ. ლამის ათწლეულების მანძილზე ჩვენი ეროვნული სპორტული სახეობის ხილვას დანატრებულ გულშემატკივარსა და ვეტერან სპორტსმენთა წარმომადგენლებს ძველებურად უხმობს მამაპაპური "საჭიდაოს" ჰანგები... ქვემოთ გიამბობთ, მაგალითად, აღაიანში, მეტეხში, თელიანსა და ხოვლეში ჩატარებული შეჯიბრებების შესახებ. ასევე, გაგაცნობთ ჩვენებური სპორტსმენების მიერ საქართველოს მასშტაბით თუ უცხოურ სარბიელებზე მოპოვებულ წარმატებებს

ერეკლიანი _ ოერისლოვნ ეუმბათიბსმლე

დასასრული.

სოფლის მეურნენი ცხოვრობდნენ, კარსნისხევში მეთუნეები, სხვაგან ქვის და ხის ხუროები, ოქრომჭედლები და ა.შ. გალავანს შიგნით, ყოველ უბანში იშვიათი არქიტექტურული წესრიგი სუფევდა.

საცხოვრებელი სახლები მთის კალთებზე იყო შეფენილი და თავქვე დაშვებული ქუჩები ერთ მოედანზე შეიყრებოდნენ. უბნებს საკუთარი წყალსადენები, აბანოები და სავაჭრო სახლები ჰქონდა. ვაკე ადგილებში სახელოსნოები, ხილის ბაღები და ვენახები გაეშენებინათ. ცალკეული საუბნო ციხე-სიმაგრეებით, მთლიანობაში, ერთიანი, დიდი ქალაქის თავდაცვის სისტემა იქმნებოდა– სამ მეტრამდე სისქისა და რვა მეტრამდე სიმაღლის კედლებით, ოთხკუთხა კოშკებით.

გორაკებზე იდუმალი კერპები აღმართულიყვნენ – აინინა და ინინა, ზადენი – წიწამურის მაღლობზე, ხოლო მრისხანე არმაზი–ბაგინეთის მთაზე. აქვე იყო მეფეთა რეზიდენცია.

გათხრების დროს გამოვლინდა იშვიათი ხუროთმოძღვრული, სამხედრო-თავდაცვითი და ყოფითი კულტურა, რომელიც იმდროინდელ ქართველთა მაღალ ინტელექტსა და მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან კავშირზე მიუთითებს. მხოლოდ პიტიახშების რეზიდენციის ნაშთების მიხედვითაც კი შეიძლება იმსჯელო მათი ყოფის დახვეწილობისა და თავისებურების შესახებ – ანტიკური ხანის სვეტისთავები, ბაზები, პროფილირებული ლავგარდნები, ნახევარწრიული კამარებით დამშვენებული გადახურვები, მშრალი წყობით ნაგები ქვის აკლდამა, მრავალგანყოფილებიანი და მრავალფუნქციური აბანოები, ფორმითა და ტექნოლოგიით გამორჩეული მცხეთური კრამიტი და სხვა.

რომაელმა მხედართმთავარმა პომპეუსმა ძვ. წ. I საუკუნეში, 65 წელს დალაშქრა ქალაქი. საერთოდ, იმ ეპოქის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ძლიერ შტრიხებად გასდევდა მაზდეანური სპარსეთის გავლენები და რომაული ექსპანსია, მაგრამ ამ ქალაქის უმთავრესი ისტორიულ-მისიონერული ფუნქცია მაინც ქრისტიანობის,

როგორც ქართველთა უმთარესი რელიგიის მიღებასა და გავრცელებაში მდგომარეობს.

IV საუკუნეში კაბადოკიელ ქალწულს ნინოს ღვთისმშობელი გამოეცხადა და იგი საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად მოავლინა. იგი მცხეთას ვაზის ლერწმებისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით მოვიდა, შემდეგ კი სასწაულები და მადლი დააფრქვია.

ქართლის მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ 337 წელს ქრისტე იწამეს. მალე ახალმა რელიგიამ სახელმწიფო სტატუსი შეიძინა.

VI ს. დასაწყისში, რაკიღა მეფე დაჩი I-მა მამის – ვახტანგ გორგასლის ანდერძს უერთგულა და დედაქალაქი თბილისში გადაიტანა, მცხეთა მხოლოდღა საეკლესიო ცენტრად დარჩა. აქვე ცხოვრობდნენ ქართველი პატრიარქები. მიწყივ მოღვაწეობდნენ ბრძენი მწიგნობრები და კალიგრაფები, რომელთაც დიდი წიგნთსაცავი შექმნეს. დღემდე ქალაქის სილუეტი ულამაზესი ტაძრების ქანდაკებრივი ფორმებითაა კონტურირებული, მიუხედავად იმისა, რომ მცხეთას მრავალ თავდასხმათა შორის, ორი კატასტროფული შემუსვრა ახსოვს. ერთი – მურვან ყრუდ წოდებული არაბი სარდლისა, რომელმაც ბევრ სხვასთან ერთად, უდიდესი გულმოდგინებით დაანგრია არმაზ ციხე და, მეორე – თემურ ლენგისა (XVს.), რომლის დროსაც უმოწყალოდ დაზიანეს სვეტიცხოველი.



შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქალაქი თითქოს დროში გავრცობილად ქრებოდა და ნელნელა კარგავდა სასიცოცხლო ენერგიას. თავად განსაჯეთ, XIX ს-ის დასაწყისისთვის, როცა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, იგი ერთი პატარა სოფელიღა იყო.

საქართველოში შემორჩენილ ტაძართა შორის უდიდესის, სვეტიცხოვლის შინაარსი (ცოცხალი სვეტი) და საკრალური მნიშვნელობა ბიბლიურ ცხოვრების ხესთანაა ასოცირებული. ლეგენდის თანახმად უფლის ჯვარცმის შემდეგ, იერუსალიმში მყოფ მცხეთელ ებრაელებს წილად ხვდათ ქრისტეს კვართი. ელიოზ მღვდელმა იგი თავის მართლმოწმუნე დას–სიდონიას მცხეთაში ჩამოუტანა. მან კვართი გულში ჩაიხუტა და მიიცვალა. სიდონია ქრისტეს კვართითურთ დაკრძალეს. მის საფლავზე სასწაულებრივი ხე ამოვიდა, რომელიც შემდგომ ხითხუროებს ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ და მისგან შვიდი სვეტი დაუმზადებიათ. ერთერთი მათგანი სახილველადაც ფრიად საოცარი და საკვირველთმოქმედი ყოფილა. იგი ვერანაირი ძალისხმევით ვერ გადაუადგილებიათ. მხოლოდ წმინდა ნინოს მიერ აღვლენილი ვედრების შემდეგ ზუსტად იმ ადგილას აღმართულა, სადაც მაცხოვრის კვართი სიდონიასთან ერთად დაფლეს. სწორედ აქ აშენდა პირველი ტაძარი, რომლის საძირკვლის კვალს XX ს-ში მიაკვლიეს; ხოლო ის სვეტიცხოველი, რომელიც XI ს-ის დასაწყისში მელქისედეკ კათალიკოსის ბრძანებით ხუროთმოძღვარ არსუკისძეს აუგია, ისეთი მშვენიერი და მასშტაბურია, რომ მისი სახელი, შეიძლება, დიდი ასოებითაც დაწერო.

სივრცეში დგას ჯვრის სახე გუმბათიდან ოთხივ კუთხივ გაწვდილი მკლავებით, გარეგანი ფორმები და მასები ფაქიზი მხატვრული დახვეწილობითაა გადანაწილებული და გამაოგნებელი ბუნებრიობით ერწყმის გარემოს. ოთხ მძლავრ ბოძზე დაყრდნობილი, ცისკენმსწრაფი გუმბათის ყელი თექვსმეტი სარკმლითაა დამშვენებული და ტაძრის ერთიანი

პროპორციები თითქოს სწორედ მას ემორჩილება. კედლების ქვიშაქვის ფერი და ჩუქურთმათა გრაფიკული ინტიმი არქიტექტურულ დიდებულებას არბილებს, ათვინიერებს და ტაძარს მორწმუნეთათვის შინაურსა და მახლობელს ხდის.

მცხეთის კიდევ ერთი საკვირველება ჯვრის მონასტერია. ქრისტიანობის მიღების პირველივე წლებში მეფე მირიანს მაღალ მთაზე ხის ჯვარი აღუმართავს, რომელსაც მხოლოდ ქართველები კი არა, კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც თაყვანსა სცემდნენ.

586-604 წლებში ერისმთავარმა სტეფანოზმა აქ ააგო ტაძარი, რომლის ნახვისას ხელშესახებად განიცდება კავშირი უფალსა და ადამიანურ ზესწრაფვას, ცასა და მიწას შორის. ჯვარი იშვიათი ხუროთმოძღვრული სივრცეა, რომელსაც განუმეორებელი ხიბლი აქვს ნაწილების სრული წონასწორობისა და ჰარმონიული პროპორციების გამო. გგონია, რომ იგი კი არ ააშენეს, არამედ ამ მთაზე ღვთის ნებით ამოიზარდა. მოვარდისფრო- ქვიშისფერი, საუკუნეთა მანძილზე ოდნავ შეჟანგული თლილი ქვებით ნაშენი, მოურთავი ტაძარი ასომთავრული წარწერებითა და ფრესკებითაა დამშვენებული. შენობის ბირთვს რვაწახნაგოვან ყელზე დამაგრებული გუმბათი ადგას. ეს დომინანტური გუმბათი განსაზღვრავს ყველა სხვა ფორმების თავისებურებას.

მაღალ მთაზე ასულს, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ნიავს მირონის სურნელი მოაქვს. აქაური მოლივლივე სიმაღლის განცდას კი, არაფერი შეედრება. მოკლედ, ამ ტაძარს ძნელად თუ აღწერ – იგი უნდა ნახო.

რაკიღა მცხეთა თავად ისტორიაა, აქ არსებულ სანახაობათა ნუსხაც კი დამღლელია, თუმცა ყველა სტუმარს ვურჩევთ, ზემოაღწერილ არქეოლოგიურ ნაშთთა და ძეგლთა გარდა, აუცილებლად მოინახულონ უძველესი სამთავრო, VI ს-ში დაარსებული ზედაზნის მონასტერი, შიომღვიმე (VI–XVIIIს.ს.), XIII ს-ის ნათლისმცემლის ბაზილ-

იკა, ადრეულ და შუა საუკუნეებში აშენებული წილკნის, თელოვანის და წეროვანის სამონასტრო კომპლექსები, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, ბებრის ციხე და სხვა ციხეთა ნაშთები.

როცა დაიღლებით და მოგშივდებათ კიდეც, გემრიელი საჭმლის მოძებნა არ გაგიჭირდებათ, რადგან მცხეთაში ლამის ყოველ სახლში რესტორანია და ყველგან ჯადოსნურად გემრიელ ქართულ კერძებს მოგართმევენ. თუ ინტერიერის ნაცვლად, ტერასაზე, ან ეზოში ისადილებთ და დაისიც წამოგეწევათ, აუცილებლად შენიშნავთ როგორ ეშვება ტაძრების გუმბათებზე ცისარტყელის მსგავსი ფერადოვნება.

მარინა ყიფშიძე.

მეორედ მოსვლის ვალმა ქრისტე ხელოთუქმნელი ყვრითით შეიმოსება...

საქართველოსთვის ქრისტეს პერანგი ანუ კვართი უფლისა მხოლოდ სიწმინდე კი არ არის, არამედ – რწმენის შენახვის იდეაა.

იქნებ, ამ იდეის გამოც, მიწაში დაფლული ქრისტეს კვართივით, ამ ქვეყანაში მუდმივადაა დამარხული ღვთისადმი სასოება.

უკერველი, ხელთუქმნელი და, რა თქმა უნდა, სასწაულმოქმედი კვართი უფლისა, მრავალმხრივი ინტელექტუალურ-მხატვრული ფენომენიცაა, ქართული კულტურის ღრმა ეთნოფსიქოლოგიური შრე. ეს ის კვართია, რომელიც განკაცებულ მაცხოვარს ჯვარცმისას ემოსა... ხოლო შემდეგ „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" (ფსალ. 21, 18).

ისევე, როგორც ყოველ ქრისტიან ერს, ქართველებსაც (არც სხვებზე მეტად და არც – ნაკლებად) გააჩნიათ ასწლეულების მანძილზე ნაშენები და განმტკიცებული მესიანურ-მისიონერული საზრისი, საკუთარი ღვთივრჩეულობის განცდა თუ შეგნება. იგი რამდენიმე მნიშვნელოვან, რელიგიურ და ისტორიულ არგუმენტზეა დაფუძნებული. ყოველი მათგანი ყურადსაღები და მრავალმხრივ საინტერესოა, განსაკუთრებით, აღმოსავლური ქრისტიანული კულტურის თავისებურებათა შესწავლის თვალსაზრისით.

ქართული მესიანური იდეის ერთ-ერთი მძლავრი საფუძველი გახლავთ ღვთისმშობლის წილხვდომილობა და სულიწმინდის გადმოსვლისას მისი ქართულ ენაზე ამეტყველება. ამიტომ, ერისათვის მისიონერული ფუნქცია მისი სასიცოცხლო და საბრძოლო, ზოგჯერ თავგანწირული სულისკვეთების წყაროდ იქცა. ალბათ, ფუნქციად ქცეული ამ იდეის ერთერთ პირველმიზეზს სწორედ გამორჩეული სიწმინდის, უფლის კვართის მცხეთაში დაფვლაც წარმოადგენდა, რადგან წინასწარმეტყველების თანახმად, მეორედ მოსვლის ჟამს ქრისტე ხელთუქმნელი კვართით შეიმოსება...

საქართველოში, ბავშვებს ქრისტიანობის შესახებ საუბრის დაწყებისას აუცილებლად უამბობენ ცხოველმყოფელი სვეტისა და მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს შესახებ, რომელმაც IV საუკუნეში, ქართლში კერპები დაამსხვრია და სასწაულები მოახდინა. ამას მოჰყვება თხრობა საქართველოს უმთავრესი ტაძრის სვეტიცხოვლის თაობაზე, რომელიც ქრისტეს კვართის დაფვლის ადგილსა და ცხოველ ანუ უფლისგან გაცოცხლებულ, სასწაულმოქმედ სვეტზეა დაფუძნებული...

* * *

I საუკუნეში ქართლის ძველ დედაქალაქ მცხეთაში ისრაელის მიწიდან "ოტებულ ჰურიათა" ანუ დევნილ ებრაელთა ძლიერი და მრავალრიცხოვანი თემი სახლობდა. ის ერთ-ერთი იყო ძველ საქართველოში მცხოვრებ – მეცნიერთა ვარაუდით – ოთხ ძირითად თემს შორის.

ებრაელები ქართლში რამდენიმე წყებად მოსულან. ამას ოდინდელი სამარხები და არქეოლოგიური მასალა ადასტურებს. პირველად ეს მომხდარა ძველი წელთაღრიცხვის 580-იან წლებში. მაშინ, როცა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა მათი სამშობლო იავარჰყო და დაიპყრო. შემდგომაც, ისინი სულ გაურბოდნენ მტერს და წმინდა მიწიდან შორს სახლდებოდნენ. თუმცა, სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტდნენ. ასევე გულმოდგინედ ინახავდენენ რჯულს; წარმართთა ხელისა და თვალისაგან სამაგალითოდ მალავდნენ სამშობლოდან წამოღებულ სიწმინდეებს. "მოქცევა ქართლისა " გვიამბობს, თუ როგორ გაამხილა IV საუკუნეში ქართველმა ებრაელმა ქალმა სიდონიამ ასწლეულების მანძილზე ურიათა თემის მიერ შენახული საიდუმლოება იმის შესახებ, რომ წმინდა ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი მცხეთაში იყო დამარხული. წმინდა ელიას ცადამაღლებისას მიწაზე დავარდნილი მოსასხამი ძველი აღთქმის მიხედვით ელისე წინასწარმეტყველს ერგო. პროფ. ელდარ ბუბულაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა სვეტიცხოვლის სიწმინდეები, მიუთითებს, რომ "ელიას ხალენის მცხეთაში მოხვედრის ისტორიის შესახებ ქართულ წერილობით ძეგლებში ცნობები არ მოიპოვება". თუმცა, არსებობს წყაროთა მწირი ცნობები და, უფრო კი, ქართული ზეპირი საეკლესიო გადმოცემები, რომელთა მიხედვით, იგი მცხეთაში ინახებოდა... ასევე მის მახლობლად, "მოქცევა ქართლისას" მოწმობით, დაფლეს I საუკუნეში ქრისტეს პერანგიც.

უფლის კვართის საქართველოში შემობრძანების მისტიკური ამბავი მრავალი ქართული და არაქართული საისტორიო ცნობებითაა დადასტურებული...

ამ ამბის მთავარი გმირები სწორედ მცხეთელი ებრაელები არიან, რომლებიც, როგორც ჩანს, ხშირად მოგზაურობდნენ საუკუნეების წინათ დატოვებულ ისტორიულ სამშობლოში. წარმოვიდგინოთ, ღირსეული მოქალაქეები, თვით ქართლის სამეფო კარზეც დაფასებული და პატივცემული უცხო რჯულის ადამიანები, რომლებიც იქცნენ ქართლში ქრისტიანული რწმენის პირველ მატარებლებად და გამავრცელებლებად. მრავალი უცხოელი თუ ქართველი მეცნიერის აზრით, მცხეთა ერთ-ერთი პირველი ქალაქთაგანი იყო, სადაც ახალ რელიგიას თავიდანვე გულმხურვალე მორწმუნენი გამოუჩნდნენ ჯვარცმიდან უახლოეს ხანებში – მაცხოვრის კვართის შემობრძანებისა და დაფვლის შემდეგ. ეს მოხდა მაშინ, როცა განკაცებული ღვთის სიტყვა სახარების სახით ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება ებრაელებმა იცნეს, წარმართი ქართველების ნაწილი კი წმინდა გულით შეეთვისნენ კაცთა ცოდვებისათვის ჯვარცმული უცნობი ღმერთის იდეას. მრავალი წყაროს დამოწმების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: "ცხადია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ადრითგანვე უნდა გავრცელებულიყო, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იგი IV საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი". ამას ადასტურებს ბევრი საისტორიო თხზულება. მათ შორის იოვანე საბანისძის "აბო თბილელის წამება", პეტრე ქართველის ასურული ცხოვრების ტექსტი, სომეხი არაქელ დავრიჟეცი, რომაელი ისტორიკოსი რუფინუსი და ა. შ.

თუმცა, კვლავ დავუბრუნდეთ ქართლის დედაქალაქში მცხოვრებ ღვთივრჩეულ ებრაელებს და ჯვარცმას შესწრებული ერთ-ერთი მცხეთელი "ჰურიის" წინასწარმჭვრეტ დედას..

I საუკუნეში მეფე ჰეროდეს მოწოდების თანახმად მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაელთა მრავალი წარმომადგენელი იერუსალიმში გაემგზავრა, რათა ენახათ "ცრუ წინასწარმეტყველი", რომელიც საკუთარ თავს სამყაროს მხსნელსა და ღმერთის ძეს უწოდებდა. მანამდე ქართველ ებრაელებს უკვე სმენოდათ, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელმა მონათლა და ამ დროს სასწაულებიც მოხდა: მდინარეები აღმა წავიდნენ, ზღვის მიმოქცევა შეწყდა, ამოძრავდნენ მთები და სხვა. სასწაულმოქმედს შემაშფოთებლად ბევრი მიმდევარი გამოსჩენია. ჰეროდეს სურდა ეს კაცი არა მხოლოდ იუდეის მცხოვრებთ შეეჩვენებინათ, არამედ ისრაელის სხვა ტომთა შთამომავლებსაც. ამ მოწოდების გამო სხვა ქვეყნებს შეფარებული ებრაელები იერუსალიმს გაემგზავრნენ. "შატბერდის კრებულის" მიხედვით, იუდეისაკენ მიმავალ გზას ქართველი ებრაელებიც დაადგნენ და ისინი მაცხოვრის ჯვარცმასაც დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ეს ორი პირი შემდგომში ქართული საისტორიო მწერლობის, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა თუ ფრესკული მხატვრობის პერსონაჟებად იქცა. მათი გამოსახულებები სვეტიცხოვლის მოხატულობის ერთ-ერთ სიუჟეტშიცაა წარმოდგენილი.

ელიოზ მცხეთელი ელიას ტომის შთამომავალი, ღვთის მოშიში და გამორჩეული ადამიანი ყოფილა. მისმა მოხუცმა დედამ, ელიოზის გამგზავრებამდე უკვე იცოდა, რომ ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება და ღმერთი განკაცდა... იერუსალიმში მიმავალ შვილს იგი შეევედრა, რომ ელიოზს არამცდაარამც არ ჩაედინა მომაკვდინებელი დანაშაული და იესო ქრისტეს ჯვარცმაში არ გარეულიყო, რადგან ის იყო მხსნელი სოფლისა, ძე ღვთისა. როგორც საისტორიო წყაროები იმეორებს, ელიოზს მართლაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მაცხოვრის ჯვარცმაში. შატბერდის კრებულის მიხედვით, ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოზ კარსნელს კიდევ ორი ადამიანი ახლდა – მისაელი და თალენავი. ქართლიდან წარგზავნილი ებრაელები იმ მოვლენის პასიურ დამკვირვებლებად გვევლინებიან, რომელმაც სამყარო შეცვალა...

შემდეგ კი, დგება დავით წინასწარმეტყველის სიტყვების გაცხადების ჟამი: "კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი".

ამ წილისყრაში, უფლის ჯვარცმაში მონაწილე მეომრებთან ერთად ელიოზ მცხეთელიც გაერია. ხელთუქმნელი და სასწაულმოქმედი კვართიც სწორედ მისი საკუთრება გახდა.

ქართველი ებრაელები თავიანთ მეორე სამშობლოსაკენ გამოემართნენ და მსოფლიო ქრისტიანთათვის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე მცხეთას მოაბრძანეს. ამ დროს ელიოზის წინასწარმჭვრეტი მოხუცი დედა კი უკვე გარდაცვლილი იყო. მას შინ მართლმორწმუნე და – სიდონია ელოდებოდა. ელიოზ მცხეთელმა დას უფლის შესამოსელი გადასცა. ქალმა კვართი გულზე მიიხუტა, ემთხვია და ცრემლით დაალტო. სიდონიამ უმალვე სული განუტევა. მას ისეთი ძალით ეპყრა ხელთ უფლის კვართი, რომ მისი გამორთმევა ვერავინ შეძლო. ხელთუქმნელ კვართს თვით მეფეც (ქართლის ცხოვრების ცნობით ადერკი, იგივე მიჰრდატი) მოუხიბლავს, მაგრამ სასწაულებრივად ჩაბღუჯული სამოსი ვერარა ძალამ განაცალკევა ებრაელი ქალის ხელთაგან. ამიტომ სიდონია ძმამ უფლის კვართთან ერთად მიაბარა მიწას. საფლავზე კი განსაცვიფრებელი სიმძლავრისა და სილამაზის მქონე ხე ამოვიდა. ქართლის ცხოვრება მას ლიბანის ნაძვს უწოდებს. ეს მშვენიერი ხე უიშვიათეს კეთილსურნელებას აფრქვევდა.

იქ, სადაც ოდესღაც ებრაელთა სასაფლაო იყო, სამი საუკუნის შემდეგ უკვე სამეფო ბაღი ("სამოთხე") და სასახლე მდებარეობდა. სწორედ ეს ადგილი ამოირჩია ეკლესიის ასაშენებლად ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ – მირიანმა. მანამდე, ამ ხესთან ხშირად მოდიოდა ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო, რომელმაც იცოდა, რომ უფლის სამოსელი „არს მახლობლად ნაძვსა მას ლიბანით მოდებულისა." შემდგომში იგი "ასწავებდა ხუროებს", როცა ისინი კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული საოცარი ხისაგან ამ ქვეყნის პირველ ქრისტიანულ ტაძარს აშენებდნენ... მშენებლობისას ხისგან დამზადებული ერთ-ერთი სვეტი გაცოცხლდა ანუ ზეცით მოვლენილი სასწაულებრივი ძალა შეიძინა. მას ცხოველმყოფელობის გამო სვეტიცხოველი უწოდეს. (სასწაულმოქმედ სვეტს გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მაკურნებელი ძალა ჰქონდა და მირონი სდიოდა, ვიდრე შაჰ-თამაზმა გაუგონარი დაუნდობლობით არ წაბილწა სიწმინდე, ეკლესიის შენობა კი საქონლის სადგომად აქცია).

ქრისტეს კვართის დაფვლის ალაგას აგებული ქართველთა უმთავრესი ტაძარი სვეტიცხოველი მაცხოვრის საფლავზე აღმართული ეკლესიის სიმბოლოდ იქცა, ხოლო ქართლის დედაქალაქი მცხეთა – მეორე იერუსალიმად. (ამ აზრის დასასაბუთებლად კორნელი კეკელიძე ადგილობრივ ტოპონიმიკას იშველიებს. ქალაქში დღესაცაა ადგილები, რომელთაც ეწოდება ბეთლემი, გეთსამანია, სიონი და ა. შ.) კვართი უფლისა განიფინა ზოგადქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში – ჰაგიოგრაფიასა და ლიტურგიკაში, საისტორიო მწერლობაში, ჰერალდიკაში, ხატწერასა და კედლის მხატვრობაში...

უფლის კვართი იქცა ერთ-ერთ სარწმუნოებრივ საზრისად, რომლის გავლენით ქართული ქრისტიანობა თვითმყოფადი მისიის მქონე ფენომენად ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ კულტურებს შორის.

ზაზა დოდაშვილი.

გილოცავთ! გილოცავთ!

საქართველოს ჰელსგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) დაბადების დღეს ულოცავს კასპის სახელოვნებო სკოლის მუსიკის მასწავლებელს ქალბატონ სვეტა ლომსაძეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს, ბედნიერებას.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი).

ჩემს სიყვარულ მასწავლებელს ლია გვერდწითელს ვულოცავ სიუბილეო დაბადების დღეს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, უკვეხსიურ დღეგრძელობას, ჩვეულ ლიმილიან და ხალისიან მიმავალს სიყვარულ ოჯახთან ერთად.

ნანა მერებაშვილი.

ჩვენს სიყვარულ მასწავლებელს ლია გვერდწითელს ვულოცავთ სიუბილეო დაბადების დღეს!

ძვირფასო ლია, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს! ჭირვეულ რიგში გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ ბედნიერ დღეს სიყვარულ ოჯახთან ერთად.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი).

ფოტო-მაცივნე

„ახალი გვნთიავლი“ იძიებს ადამიანებისგან ფოტოებს ჩვენი ქალაქის ადგილთა ფოტომაცივნის შესაკმნელად. თქოვნით მიგვმართავთ თანამრეგლებს - ფოტოვეთ თქვენი ოჯახი ან ადამიანები მაცივნიში! გამოგვიგზავნეთ ადამიანებისგან და ახალი ფოტოები!

“ფრთიანი ფრაზები”

ბავშვობაში ნათქვამი “ფრთიანი ფრაზები” დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო სავმბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის სიანტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში “მაკანატუნა” და გახდით რუბრიკის სტუმარი.

მეხუთე დონ პუბლიკა - წელიწადი მეხუთე დონ ელოდება თქვენს ეამბობაუბრებას. მობმ-ძანდით მოდა-ციაში, ეაგვაცანით თქვენი ნაცუბრები (ხაბმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაცანით ისინი ნახოვადლებას.

მოიხსენე, უფალო, სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრჰყენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა.

კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი სამძიმარს უცხადებს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ნანა მერებაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის, მირანდა, მერი, ვაგო აღაპიშვილებს მამის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ნელი ჯანანაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის პირველი საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

კასპის მეორე საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

კასპის მესამე საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

კასპის მეოთხე საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ნიგოზას საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქადაგიანოს საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ქვემო ჟალის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

მიქელწყაროს საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ქვემო გომის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ბელა კობიაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეუღლის გურამ (პარკო) გურასპაშვილის ნათლული
თემო ბაინდურაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუნუკა ყიფიანი და გუგუა გოცირიძე მნუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი მეგობრის
თემო ბაინდურაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

დოესის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ახალციხის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

სასირეთის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

იგოეთის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

კოლინწყაროს საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

სამთავისის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ნანა მერებაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს სოფიკო მეჯღლიშვილს დის
ნარგიზა მეჯღლიშვილის
გარდაცვალების გამო.

ირაკლი ნონიკაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს აღექსანდრე, სოსო, დავით მიდელაშვილებს დედის
ნარგიზა მეჯღლიშვილის
გარდაცვალების გამო.

ქავთისხევის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ფერმის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

აღიანის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

მეგეხის №1 საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

გუდალეთის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

მეგეხის №2 საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ახალქალაქის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ოქმის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

თვალაღის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

ლამისყანის საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს რუსუდან მიგრიაულს მეუღლის
ივანე (ვალიკო) აღაპიშვილის
გარდაცვალების გამო.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასწარჩევნო აგიტაციისა და წინასწარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2018 წლის 22 აგვისტოდან - 2018 წლის 28 ოქტომბრამდე გამოყოფილია გზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ², მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ტირაჟულებაა 368 ც (1სმ²-40 თეთრი).

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ. კასპი
საკაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76